

შპს «რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის» 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების  
ანგარიში

(მოკლე ინფორმაცია)

2020 წლის სტადიონის ბიუჯეტი, ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი იყო 280000 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები – 36000 ლარი, სუბსიდიიდან გახარჯულია 279609.10 ლარი, საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 43450 ლარი, საიდანაც გახარჯულია 35401.24 ლარი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების და შენიშვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სტადიონის ინფრასტრუქტურის მოსაწესრუგებლად. შედეგად, სტადიონზე შეიქმნა ყველა პირობა საფეხბურთო კლუბ «ტორპედოსათვის», ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ჩასატარებლად. თუმცა გასულ წელს სეზონი, COVID 19 ვირუსის პანდემიის გამო, უმაცორებლად და შეფერხებებით მომდინარეობდა.

მიუხედავად აღნიშნულისა გასულ წელს შპს «რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე» ჩატარდა 9 კალენდარული, 3 ამხანაგური და 1 სათასო მატჩი. ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის გათვალისწინებით 3 მატჩი «მართვეს» მონაწილეობით. ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული თამაშების შესაბამისად, წინა დღეებში ეწყობოდა მოსამზადებელი ვარჯიშები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამუშაოებიდან შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე ძირითადი:

1. სტადიონის დაზიანებულ სარბენ ბილიკზე, დასავლეთ მხარეს დაიგო ხელოვნური მინდვრის საფარი (1600 კვ.მ), მოედნის ირგვლივ 700კვ.მ (უეფას სტანდარტით). მოეწყო ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადებისათვის ე.წ. მოთელვის მოედანი (120 კვ.მ) და ხელოვნური საფარით დაიფარა ასევე სადრენაჟე არხის რკინის სახურავები.
2. გარემონტდა და მოედნის 3 მხარეს დამონტაჟდა სარეკლამო ბანერები (240 მ \* 1მ).
3. კაპიტალურად შეკეთდა და კეთილ მოეწყო მოედანზე ( არენაზე) გამოსასვლელი. სათადარიგო ფეხბურთელთა ( სტუმარი და მასპინძელი გუნდები) და მსაჯთა კოლეგიის განთავსების ადგილები.

4. საერთო სარგებლობის სველ წერტილებში შეკეთდა დაზიანებული ინვენტარი და ჭერები.

5. გადაიღება მოედნის ირგვლივ რკინა-ბეტონის კონსტრუქცია (1000 კვ.მ.).

6. შეიცვალა განათების ( პროექტორების) დაზიანებული ლამპები. შეიცვალა სტადიონის მთლიან პერიმეტრზე გარე განათების დაზიანებული ნათურები ( მერიის შესაბამისი სამსახურის დახმარებით).

7. განახლდა სტადიონზე განთავსებული სიმბოლოები ( უეფას მოთხოვნის შესაბამისად), დროშები.

8. სტადიონის გარე და შიდა პერიმეტრების ვიდეო კონტროლისათვის დამონტაჟდა 6 სათვალთვალო კამერა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გასულ წელს შეფერხებით მუშაობდა, ხოლო სეზონის ბოლო მატჩებზე საბოლოოდ დაზიანდა ტაბლო, რომელიც სპეციალისტების დასკვნით აღდგენას არ ექვემდებარება. საკითხის მუნიციპალიტეტში განხილვის შემდგომ 2021 წელს დაიგეგმა ახალი ტაბლოს მონტაჟი რისთვისაც ბიუჯეტში გამოიყო შესაბამისი თანხა.

პატივისცემით

შპს „რ.შენგელიას სახელობის სტადიონი“-ს

დირექტორი

/თ.კიკვაძე/